



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030459085617415

№ 04-264/ო

11 / სექტემბერი / 2015 წ.

**სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 16
თებერვლის № 04-48/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 16 თებერვლის N04-48/ო ბრძანების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 მაისის N04-8374 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 16 თებერვლის N04-48/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-ჩაბარების, შენახვისა და მათი მოძრაობის ორგანიზების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზების მიზნით, მკაცრი აღრიცხვის ფორმების მიღება-გადაცემასთან დაკავშირებით გასაფორმებელი მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის უფლება მიენიჭეთ:

ა) სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების და სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის უფროსებს ან მათი მოვალეობის შემსრულებლებს;

ბ) ლელა მაჭავარიანს – სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის

უფროსის მოადგილეს;

გ) ვასილ ხომერიკს – სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

დ) რუსუდან მაქაცარიას – სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ე) მალხაზ გოჩაშვილს – სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ვ) ლუიზა იოსელიანს – სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

ზ) დავით მუსერიძეს – სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილეს;

თ) ზაალ მიქელაძეს – სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის შტატგარეშე თანამშრომელს;

ი) თეა ჩიხლაძეს – სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს;

კ) გოჩა ქვრივიშვილს – სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს.“

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრების უფროსებს (ან მათი მოვალეობის შემსრულებლებს) მიენიჭოთ უფლებამოსილება, საჭიროების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით, დამატებით გამოყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებთან ერთად ან დამოუკიდებლად, მონაწილეობას მიიღებს სსიპ - სოციალური მოსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/ო ბრძანებით დამტკიცებული ჟურნალების („შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“ და „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“) შევსების პროცესში.


2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, აგრეთვე, საჯარო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მაია მაღლაკელიძე – ხომერიკი) ყველა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება, წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. ბრძანება ძალაშია 2015 წლის 7 სექტემბრიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე